წ. I 1915 წ. შაბათი 23 მაისი

# სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ...
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 85 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 85


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.


ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ს ა მ შ ო ბ ლ ო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



ელექტრო თეატრი „რ ა დ ი უ მ ი“

საზაფხულო შენობა.

ხუთშაბათიდან, 18 მაისიდან, ახალი დიდი პროგრამა

**გოგატელის ციხე-დარბაზი**

სენსაცია ნორდისკისა. პირველი სურათი ნორდისკის სამხედრო ქრონიკიდან ევა ტომსენის მონაწილეობით.

**მოწყალება და სიკვდილი**

სენსაციური დრამა 4 ნაწილ. გამოჩენილ მსახიობ ქალის ევა ტომსენის მონაწილეობ.

1 ნაწ. ბრძოლის შემდეგ.
2 ნაწ. ბედნიერება ცვალებადია.
3 ნაწ. კანონის გარეშე.
4 ნაწ. სიკვდილის კანონი.

**მაკსი ცოცხალია!**

ძლიერ კომიკური სურათი მაკს ლინდერის მონაწილეობით.

**ცოლქმრობის ერთგულების ბარომეტრი.**

ფასები აწეულია. — დაუკრავს მუსიკა — დასაწყისი საღ. 7 ს.

**ანონსი.** ორშაბათიდან, 25 მაისიდან ნაჩვენები იქნება დიდებული სანახაობა 2 სერია კ ა მ ო რ ა დრამა ნამდვილი ცხოვრებიდან 3 ნაწილათ.

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის მძ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

**ა ბ ა ნ ო.**

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საუმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის; არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და საჭმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდგან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება ხალამობით.

დაიბეჭდა და იყიდება კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში)

„НОВОЕ СЛОВО“

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. ფასი ყდით 2 აბაზი.

გაბრიელ იოსების ძე

**ექიმი გოკიელის**

ელექტრონისა და სინათლის

**კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი**

ამ ზაფხულს რჩება ქუთაისში და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ძველ ბინაზე დანიშნულ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, საკუთარი სახლი. 15—8

**ექიმი** ი. ტ. მულინი გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დილით 2—3, საღ. 7—8. თ.

**კაბინეთი** მასსაჟის და სამკურნალო ვარჯიშობისა. მასსაჟისტკა მ. ტ. ბალანჩივაძისა ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება, აქვს მოწყობილი **ორთქლის ვანა,** რომელიც სჯობს სახის ყოველ-გვარ ავათმყოფობას: სიწითლეს, მუწუკებს, ნაკეცებს, ჭორფლს და ნაყვავილარ დასახიჩრებულ სახეს, ამასთანავე ვარჩენ სახის სხვა და სხვა ავათმყოფობას. **აგრეთვე ვუცრი ყვავილს.** ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდი. რჩევა და დარიგება 10 შ. მორჩენის ფასი ადგილზე გაიგება. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის. გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

კბილის ექიმები

**მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.**

დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

**ექიმი** რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი.

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზის პირდაპირ.


ქ. შ. წ.-კითხვ. გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება დანიშნულია **კვირას შვიდს (7) ივნისს, დილის 11 საათზე,** შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს დარბაზში.

# ომი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

### გერმანიის ოფიც. ცნობის უარყოფა.

**პეტროგრადი.** 20 მაისი. მიუხედავათ ჩვენის მხრით გემის „პანტელეიმონის“ დაღუპვის შესახებ გერმანელთა ოფიციალური ცნობის უარყოფისა, გერმანელები ამ ცნობას ვერ ელევიან და ახალი სტილის 1 ივნისის თარიღით ამის შესახებ ახალ ცნობას იძლევიან. ამ ცნობის მიხედვით ერთი კვირის წინათ ოდესიდან მიდიაში სამხედრო გემების და მათ შორის „პანტელეიმონის“ თანხლებით 180 ტრანსპორტი მიემგზავრებოდა. ჯავშნოსანი ნაღმს წააწყდა და 2000 კაციდგან მხოლოთ 20 კაცი გადარჩა. ამ ახალი ცნობით სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ: რომ თუმცა პირველ ცნობასთან შედარებით გერმანელებმა „პანტელეიმონის“ კომანდის რიცხვი 1400-დან 2000-ზე აიყვანეს, მაგრამ სამაგიეროთ დიდსულოვნათ კეთილ ინებეს დაეს 180 ტრანსპორტი დაგვიზოგეს, თუმცა ისიც ისე შეეძლოთ მოესპოთ, როგორც „პანტელეიმონი“.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** არასის ჩრდილოეთით მთელი ღამე ბრძოლა იყო, ნევილის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ლაბირინტში, ჩვენ დავიკავეთ რამდენიმე სანგარი და ტყვებიც წამოვიყვანეთ. ორშაბათიდგან ამ ადგილში წამოყვანილ ტყვეთა რიცხვი უდრის 450 კაცს. ნევილში ჩვენ დავიკავეთ რამდენიმე სახლი. სხვა ადგილებში, განსაკუთრებით ლორეტში, არტილერიის ბრძოლა იყო. ქალ. რეიმსს და კერძოთ ტაძარს ორჯერ ყუმბარები ესროლეს. ბელგიაში ინგლისის ჯარმა დაიკავა გოოჯის სასახლე ზომნებკის მახლობლათ. ნევილსენვატის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენ მტრის ორი იერიში მოვიგერიეთ, წინ წავიწიეთ და ტყვებიც წამოვიყვანეთ. აღსანიშნავია საფრანგეთის ერთი დივიზიის მოქმედება 26 აპრილიდგან 19 მაისამდე. ამ დივიზიამ დაიკავა კარანსი, აბლენ—სენნაზარი, მალინის წისქვილი, სუშეს შაქრის ქარხანა, ტყვეთ წამოიყვანა 3100 გერმანელი, მათ შორის 64 აფიცერი და დაასაფლავა 2600 გერმანელი. თავის მხრით დივიზიამ დაკარგა დაჭრილებით, მოკლულებით 3200 კაცი. დაჭრილთა შორის მეტი ნაწილი მსუბუქათ დაჭრილია. შამპანში ბოსეჟურის მახლობლათ გერმანელებმა სცადეს იერიშის მოტანა, მაგრამ მყისვე უკუვაგდეთ. ლეპრეტრის ტყის ნაპირზე ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები.

### დანიის იარაღის დაკავება.

**კოპენჰაგენი.** 20 მაისი. რიცაუს სააგენტოს დაევალა შემდეგი გამოაცხადოს: 15 მაისს ხვორისტოს ნება მიეცა შვეციის გემი „პან“-ით ბულგარეთში ტყვიის მტყორცნელები გაეტანა. გემის პატრონმა და კაპიტანმა პირობა დასდეს, რომ გემი პირდაპირ დედეაგაჩში წავიდოდა და გზაზე არსად შეუხვევდა. ახლა გამოირკვა რომ, „პანი“ გერმანიის პორტში იმყოფება, საგარეო საქმეთა სამინისტრო საკითხის გამორკვევას სცდილობს. ტყვიის მტყორცნელთა ყალიბი გერმანიის და ავსტრიის იარაღების ყალიბს არ უდრის.

### ინგლისის გემის ჩაძირვა.

**ლონდონი.** 20 მაისი. ხედივის ფოსტის გემი „ჰიდიჩი“ ჩასძირა გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩრდილო ზღვაში. შვიდი კაცი და ერთი მოსამსახურე ქალი დაიხრჩო, კომანდა რვა კაცი და მგზავრები გადაარჩინეს.

### სერბიის ასპარეზი.

**ნიში.** 20 მაისი. ბიტოლიიდგან იუწყებიან, რომ სერბიელმა ალბანელთა დევნის დროს დაიკავეს აგრეთვე სტრუგადობარის გზა და დიბრის მაღლიდია. სერბებმა ეს ადგილები დაიკავეს ალბანელთა მიერ თავდასხმის თავიდან ასაშორებლათ.

### იტალიის ასპარეზი.

**რომი.** 21 მაისი. ტიროლ-ტრენტინოს საზღვარზე ჩვენი ჯარი წინ მიიწევდა და დაიკავა სტრორი, მიაღწია კონდინომდე, შეუერთდა აქ ალპის მსროლელთა რაზმს და ვიელზესკენ დაეშვა. კარის საზღვართან რაკოლის ხეობის შესავალთან ჩვენი არტილერია მტერს ესროდა და ხელს უშლიდა ალპის ღელეზე ხიდი აეშენებია. მთელი დღე ცუდი ამინდი იყო და ოპერაციების განვითარებას ხელს უშლიდა. ცრიულის საზღვარზე ჩვენ წინ წავიწიეთ, დავიკავეთ პეროს ფერდობები იზონცოს მარცხენა ნაპირზე ათი კილომეტრის სივრცეზე ტოლმინოს ჩრდილო-დასავლეთით. მტერი შეეცადა დაკავებული ადგილებიდან გავერეკეთ, მაგრამ ყველგან დამარცხდა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

„რუსკ. ვედ.“ კორესპონდენტი ოსორგინი იტალიელების შესახებ „რუსკ. ვედომოსტში“ სწერს:

იტალიელები უკვე ეჩვევიან ომისგან გამოწვეულ ახალ წესებს. ომის გამოცხადებისათანავე რომის გაზეთებში მხოლოდ ოთხი გვერდი იბეჭდებოდა; იბეჭდებოდა განსაკუთრებით ოფიციალური ცნობები ომის შესახებ. ასეთი სასტიკი ცენზურა, რასაკვირველია, ხელს ვერ შეუშლის საზოგადოებაში სხვა და სხვა ხმის გავრცელებას, მაგრამ ამ ხმების დასამტკიცებლათ ჯერ-ჯერობით სასურველი პირობებით არ არის შექმნილი. ყველამ კარგათ იცის, რომ იტალიის ჯარმა დაიწყო თუ არა თავისი სამხედრო მოქმედება, ჯერ სერიოზული წინააღმდეგობა არ შეხვედრია მას მოპირდაპირესაგან.

რომის გაზეთები სამხედრო მოქმედებათა მიმოხილვას არ ათავსებენ თავის ფურცლებზე და კმაყოფილდებიან მხოლოდ გეოგრაფიული აღწერით იმ ქალაქებისა და სოფლებისა, რომელთაც იტალიის ჯარი იპყრობს. მილანის გაზეთები, რომელნიც უფრო სარგებლობდენ თავისუფლებით და კარგათაც ესმისთ საქმის მდგომარეობა, ფიქრობენ, რომ აქნობამდი იტალიის ჯარის მოქმედება სტრატეგიული მიზნით ხდებოდა, რათა გაეუმჯობესებია საზღვარზე თავისი პოზიციები. ტრენტინოსა და ტრიესტში სერიოზული სამხედრო მოქმედების დაწყება ჯერ კიდევ შორს არის.

ავსტრიელები, სარგებლობდენ რა მიმოსვლის შეწყვეტით, ათასნაირ ხმას ავრცელებენ, ვითომც იტალიაში რევოლიუციამ იფეთქა, სალანდრო მოკლეს და სხვა. იტალიაში სრული სიწყნარეა, დასძენს ოსორგინი.

პარიზიდან მოსულ კერძო ცნობებით, იტალიის ჯარმა უკვე დაიჭირა ყველა უღელტეხილი და ძლიერაც გაამაგრა თავისი პოზიციებით. იტალიის ჯარის გენერალური შტაბის განზრახვაა მანამ დაამარცხოს ავსტრიელები, ვიდრე გერმანიიდან მაშველი ჯარი მოვიდოდეს.

—

ჰოლანდიის ელჩმა ბერლინში ბრძანება მიიღო სასტიკი პროტესტი გაუცხადოს ბერლინის მთავრობას, ჰოლანდიის სანაპიროებთან გერმანიის ავიატორებისაგან ყუმბარების ჩამოყრის გამო.

—

„ბერლინერ ლოკალ ანცეიგერ“-ი 15 მაისის თარიღით იტყობინება, რომ რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიამ სხვათა შორის, განიხილა საკითხი გერმანიაში პოლონურ ენის ხმარების შესახებ ბეჭდვით სიტყვაში. მთავრობის წარმომადგენელმა განმარტა, რომ რადგანაც პოლონურ ენის მცოდნე ცენზორები ნაკლებით არის, ამიტომ ასეთი ზომის შემოღება აუცილებელია. გერმანიის მიერ დაჭერილ ადგილებში გერმანულ ენის სავალდებულო ხმარების შესახებ შეკითხვაზე წარმომადგენელმა სთქვა:

ასეთი ზომის მიღება მოსაზრებით არის გამოწვეული. ბუდაპეშტიდან ცნობაა, რომ ბერლინსა და ბუდაპეშტს შორის მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილია, რადგანაც იტალიის საზღვრებისკენ ჯარი და სამხედრო სურსათი გადაჰყავთ.

სოფიიდან მოსულ ცნობით, ტრიესტში მომხდარი ამბოხება ძლიერ მწვავდება თურმე ავსტრიის ფლოტი კატარროს ნავსადგურიდან საჩქაროთ გაიწვია სამხედრო მთავრობამ მოძრაობის ჩასაქრობათ. ტრიესტში მდგომმა გარნიზონმა, მიუხედავათ იმისა, რომ სტრატეგიული პუნქტები უჭირავს, მაინც ვერ შესძლო მოძრაობის ჩაქრობა.

ბულგარეთის პრესა, სოციალისტურს გარდა, იტალიის გამოსვლას აღფრთოვანებით შეხვდა და მტკიცეთ სწამს მოკავშირეების საერთო გამარჯვება.

---

**გერმანელების აგიტაცია ბულგარეთში.**

რადგანაც შესაძლებელია ბულგარეთის მართველ წრეების აზრის შეცვლა არა გერმანიის სასარგებლოთ, გერმანიის აგენტებმა უკიდურეს ზომებს მიმართეს: ის გაზეთები, რომელსაც გერმანიის საელჩო დახმარებას აძლევს, სავსეა ავტორიტეტიან სამხედრო პირების მიერ გამოთქმული აზრებით, რომ იტალიას აუცილებლათ განადგურება მოელის ავსტრიის ჯარისაგანაო, რომ იტალიის მიერ ომი გამოცხადებას ხალხი გერმანიასა და ავსტრიაში დიდი აღფრთოვანებით შეხვდენ და სხვ. გაზეთები ამტკიცებენ, რომ ბულგარეთისთვის აუცილებელია ნეიტრალიტეტის განგრძობა. უკანასკნელათ ისიც კი გაავრცელეს, რომ დგება დიდი საექსპედიციო ჯარი ავსტრო-გერმანელებისა, რომელიც ამ დღეებში თავს დაესხმის სერბიას, გაანადგურებს მას და ბულგარეთის საზღვრებამდი მივაო.

# რა აშინებს ინგლისს.

ინგლისში დღეს ვერც ერთი მინისტრი ვერ გაბედავს და ვერ ეტყვის ხალხს, რომ ომის შედეგი „Status quo“-ს დაცვა იქნება, მდგომარეობა არ შეიცვლება და ძალთა განწყობილება იგივე დარჩებაო; მით უფრო ვერ გაბედავს, რომ ომის შედეგისთვის პასუხის მგებელი ხალხის წინაშე დღევანდელი სამინისტროა, ვინაიდან ხალხსაც და მეფესაც მან ურჩია მტერზე ხმლის აღმართვა და ომის გამოცხადება.

ამიტომაც ინგლისის მთავრობა უკანასკნელ ღონეს იხმარს და ომს ბოლომდე მიიყვანს: მტრის სრულ დამარცხებამდე იარაღს არ დაუშვებს და მანამდე ზავის ჩამოგდებას არას გზით არ მოისურვებს.

შეიძლება ზავის ჩამოგდებაზე და გერმანიასთან მორიგებაზე ინგლისის მოკავშირეებმა იფიქრონ კიდეც, მაგრამ ზღვათა მეუფე-ინგლისი ჯერ კიდევ მაგრათ სდგას თავის განსაკუთრებულ პოზიციაზე და, წარმოიდგინე მისთვის უჩვეულო როლს, განმათავისუფლებლის მისიას ჩემულობს.

ვინ ვისგან უნდა გაანთავისუფლოს ინგლისმა?

ინგლისმა თავისი მსოფლიო მეტოქე „ახალგაზრდა გერმანია“ ევროპის მტარვალათ გამოაცხადა და ყოველი ჭეშმარიტი ბრიტანელის მოვალეობათ მისი შებორკვის და ძირს დანარცხების ხელის შეწყობა დასახა.

„რა არის ჩვენი მიზანი“ ჰკითხულობს პრესის წარმომადგენელთა აპრილში მომხდარ ბანკეტზე ინგლისის ხაზინის კანცლერი ლლოიდ ჯორჯი. „ჩვენი უმაღლესი მიზანი ევროპის განთავისუფლებაო“, განაცხადა მან ამ ბანკეტზე პრესის წარმომადგენლების წინაშე. ეს შემაძრწუნებელი ომი ჩვენ თავზე მოგვახვია პრუსიის სამხედრო კასტამ, რომელიც მთელი ევროპის დამონებას ლამობდა. ეს კასტა ჰკონებდა, რომ მან შექმნა ისეთი ყოვლათ შემძლე მექანიზმი, რომელსაც ძალუძს სულ ერთიანათ დაანაკუწოს მთელი ევროპა და პრუსიის ფერხთა წინაშე განართხოს იგი. პრუსიელებმა მთელ მსოფლიოზე გაბატონება მოინდომეს. ეს ავადმყოფობა, ნაწია, რომელიც მხოლოთ სამხედრო კასტას სჩვევია; რასაკვირველია ამ ოცნების შესრულება მათ არ შეუძლიათ, მაგრამ მისი თავ დან აშორება და დამხვრევა ევროპას საშინელ და საზარელ ფასათ დაუჯდება; ზღვა სისხლი და აურაცხელი სიმდიდრე შეეწირება მას მსხვერპლათ. მაგრამათ განაგრძობს ჯორჯი ჩვენ, ინგლისელები, მზათ უნდა ვიყოთ ყოველგვარი მსხვერპლისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ სამუდამოთ დავეცემით ამ ბრძოლაში და თანდათან დამოკიდებული, დამორჩილებული სახელმწიფოს მდგომარეობაში ჩავარდებით; ამიტომ ყველამ კარგათ უნდა შეიგნოს, თუ რაა დაკავშირებული დღევანდელ ბრძოლასთან: ყველა თავის ადგილას უნდა იყოს: თქვენ პრესაში (ჟურნალისტებს ეუბნება), ჩვენ სამინისტროში, ხოლო ხალხი კი სხვადასხვა ასპარეზზე უნდა გაეშუროსო. მოკლეთ რომ ვსთქვათ,—ინგლისმა მთელი თავისი ენერგია უნდა მოიკრიბოს და გერმანიის სამხედრო ძლიერება უნდა შემუსროს, რომ შემდეგში მსოფლიო ბაზარზე მისი ეკონომიური მეტოქება უვნებელი შეიქნება იმით, რომ მას ბრძოლის ველზე დამარცხებულს გზაზე გამარჯვებული ევროპა გადაელობება და ინდოეთისაკენ, შორეულ აღმოსავლეთისაკენ, საზოგადოთ აზიის ბაზრებისაკენ თავისუფლათ აღარ გაუშვებს: ის საგარეო პოლიტიკით სამუდამოთ შებორკილი იქნება.

აი რა სწყურია ინგლისს და რას ელტვის ის. მას ეშინია, რომ გერმანია ომის შემდეგაც ფრთა გაშლილი არ დარჩეს და ბაღდადისაკენ მას გზა ხსნილი არ დაურჩეს. აი, რა აკდებს ინგლისს საკონგრესში და რატომ არის რომ ის ასე თავდაუზოგველათ ეკვეთა დარდნელის სიმაგრეს.

ბევრს კი ჰგონია ინგლისი დაჩაგრულ ერებს ანთავისუფლებს და ამისთვის მას უშიშარ და უანგარო რაინდის მანტიაში ხვევს.

ტყუილი, უსაფუძვლო ფიქრია ეს, ვიტყვით ჩვენ.

**დ—ელი.**

(დასასრული იხ. „სამშობლო“ № 86.)

# ნარკვევი.

„სახალხო გაზეთი“ სწერს რა ჩვენებურ პარტიათა შორის არსებულ ბრძოლის ავადმყოფურ ხასიათს, იმედოვნებს, რომ ომმა ამ პარტიებს „ჭკუა უნდა ასწავლოსო“ ვინაიდან თუმცა აზრთა სხვადასხვაობის მოსპობა არც შესაძლებელია და არც სასურველი რასაკვირველია. არც ისაა შესაძლებელი და სასურველი, რომ პოლიტიკური კამათი უმწვავესად აკადემიურ პაექრობას დაემსგავსოს. მაგრამ რაგინდ დიდი არ უნდა იყოს წინააღმდეგობა საზოგადოებრივ ჯგუფებს და მათ წარმომადგენელთ შორის, მათ ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ ყველანი ეროვნული ციხე-სიმაგრის გუშაგნი არიან და მათი უდისციპლინობა და უთანხმოება უფრო დიდს საფრთხეს უმზადებს ამ ციხე-სიმაგრეს, ვიდრე გარეშე მტრის ალყა ან თავდასხმა.

და აი სწორეთ ამაშია თანამედროვე ომის დადებითი გავლენა, რომ მან ნათლათ შეგვაგნებინა ეს უბრალო ჭეშმარიტება. ყველგან ევროპაში „ციხის მშვიდობიანობა“ დამყარდა. ყველგან ევროპაში გაქრა გადაჭარბებული სიძულვილი და იჭვიანობა და მათ ადგილზე ერთგვარი ნდობა, ხალვათობა და სოლიდარობა დამყარდა. მარსელ სემბა, რომელიც ომის დაწყებამდე შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისს იცავდა, დღეს ამტკიცებს რომ არსებობს საერთო ეროვნული ნიადაგი, რომელიც შენახულ უნდა იქნას ხვალაც, ზავის ჩამოგდების შემდეგ. ნუ თუ, კითხულობს გამოჩენილი ფრანგი სოციალისტი, ხვალ არაფერი დარჩება ამ ღვთაებრივი ერთობისაგან? უეჭველია პოლიტიკური პარტიები არ დაივიწყებს თავის განსხვავებულ შეხედულებებს და მიზნებს. ეს არც არის საჭირო. სხვადასხვაობა აუცილებელია თავისუფალ ქვეყნებში. მაგრამ საფრანგეთის იმედები სასტიკად გაუცრუვდება, თუ ომმა არაფერი გვასწავლა და მისმა გაკვეთილებმა უნაყოფოდ ჩაიარა. დღევანდელმა ერთობამ სამშობლოს თავდაცვაში წაუშლელი ბეჭედი უნდა დასტოვოს ჩვენს სულში. უნდა შევინარჩუნოთ ერთად მუშაობის ნიჭი საფრანგეთის ასაყვავებლად.

ეს სიტყვები ქართველებისათვისაც ძლიერ საგულისხმოა. ჩვენი სამშობლო ევროპაში არა ნაკლებაა დაზრული შინაგანი შუღლის სუსხისაგან. ჩვენ სამშობლოსაც არა ნაკლებ ესაჭიროება ერთსულოვნობა ძირითად სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხებში. და თუ ეს ერთსულოვნობა დამყარდა, დღევანდელ უბედურ წუთებში, ეს ერთი რამ მაინც გვექნება სანუგეშო, რომ მართალია ომმა შეგვამცირა და დაგვარბია, მაგრამ მასთანვე ერთად ერთობა და სიმტკიცეც მოგვანიჭა.

ღმერთმა ჰქნას! დაუმატებთ ჩვენ.

# ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

ხვალინდელი ჩვენი გაზეთის სურათებიან დამატებაში მოთავსებული იქნება ცვარ-ნამისა და ს. ურუშაძის ლექსები და მოთხრობა მ. გორკისა,—თარგმანი იაშვილისა.

**სურათები:** შოთა რუსთაველი, თამარ მეფე, გელათის მონასტერი, პოდპორ. ნიკ. დავ. კანწურაშვილი, პრაპ. ვახ. ის. ხელაძე და ჯარის კაცები ვ. ნ. რევიშვილი და კონ. ლიკლიკაძე.

✦ ქართველთა შ. წ. კით. გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ბ. გუბერნატორის წინაშე, [illegible] სოფ. მოწყარში (ზნაკვის საზოგადოება. რ-ბა) გაიხსნას [illegible] მკითხველო.

✦ ოთხშაბათს, 21 მაისს, შავი ქვის საბჭოს დარბაზში შესდგა წ. კ. გ. ს. გამგეობის სხდომა. სხდომამ მსჯელობა იქონია საზოგადო კრების შესახებ და დაადგინა, რომ ეს კრება ნაცვლად 26 მაისისა მოიწვიოს 7 ივნისს შავიქვის საბჭოს დარბაზში, დილის 11 საათზე.

✦ ქალთა საზოგადოების გამგეობის თავჯდომარემ ოლღა ქორქაშვილისამ ინახულა ბ. გუბერნატორი, და მოელაპარაკა ჯარში გაწვეულ ჯარისკაცთა ბავშვების უმწეო მდგომარეობის შესახებ ბ. გუბერნატორმა ქ-ნ ქორქაშვილის ქალს აღუთქვა: ამ მოკლე ხანში მოწვეული იქნება ჯარში გაწვეულთა დამხმარე საგუბერნიო კომიტეტი და უმთავრეს ყურადღებას თქვენ შუამდგომლობას მივაქცევთო.

✦ ქუთაისში შანტაჟისტებმა თავი კიდევ იჩინეს და თავისი საზიზღარი საქციელით მშვიდობიან მცხოვრებთ დღეს უმწარებენ, 21 მაისს საფიჩხიაზე მოვაჭრე ივანე დადუნაშვილმა ვიღაც ჯგუფისაგან წერილი მიიღო და 1000 მანეთს სთხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით ემუქრებიან. წერილი მისულია „**საფირჩხიის შტაბის გამგის**“ სახელით. დადუნაშვილმა ეს წერილი პოლიციას გადასცა.

✦ ხვალ, 24 მაისს, ქალაქის ბაღში ქუთაისის ქალთა წრე მართავს დიდ სეირნობას, ლატარია-ალეგრით. სეირნობის შემოსავალი მოხმარდება ჯარის კაცათვის თეთრეულების დამზადებას.

✦ გუშინ, 22 მაისს, ქართული გიმნაზიის დარბაზში დაიწყო პედაგოგიური საბჭოს კრება იმის შესახებ, თუ როგორი ზომები უნდა მიიღონ, რომ ხსენებულ გიმნაზიაში მომავალი წლიდან ყველ საგნების სწავლება დედა-ენაზე დაიწყოს.

✦ 21 მაისს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნული იყო საბჭოს კრება ქალაქის ხარჯთაღრიცხვის განსახილველათ, მაგრამ კრება ხმოსნების დაუსწრებლობისა გამო არ შესდგა.

---

# მთის მგოსანი

**ვაჟა ფშაველა.**

(დახასიათება).

როგორც დასავლეთ ევროპაში საუკეთესო ტიპები „ზე-კაცისა“ განსახიერდა ნორვეგიის მთებში, ისე ჩვენშიაც მთებიდან გაისმა შეუპოვარი და ამაყი ხმა:

„თქვენთან ძაღლურად სიცოცხლეს,
სიკვდილი მიჯობს ცაშია;
ვერ მოაწონებთ კარგ ყმასა,
რაც არ უჯდება ქვაში!“-ო. ასე გაიძახის ჩვენი პოეზიის ობოლი მარგალიტი ვაჟა-ფშაველა.

„მიყვარს საგმირო ჰანგებიო“, აღიარებს პოეტი და, მართლაც, ყოველი მისი პოემა, ყოველი მისი ლექსი ან მოთხრობა დამღერის რაიმე გმირულს, არა ჩვეულებრივს, აბა, გაიხსენეთ მისი პოემები.

ვაჟა ეტრფის და უგალობს ძლიერ პიროვნებას, შეუდრეკელ ნებას. გაიხსენეთ ახალი ცხოვრების პიონერი, ალუდა ქეთელაური. მან იცის, რომ

ხალხთ ჩვეულება დიდია,
დევსა ჰგავს რკინის მკვნეტავსა“,

მაგრამ მაინც სასტიკათ შეებრძოლება დრო გადასულ ზნე-ჩვეულებას და უნდა მისი შეცვლა. მას ძლევს დესპოტი საზოგადოება, მაგრამ აზრს ვერ შეაცვლევინებს, ქედს ვერ მოახრევინებს და ეს ხომ გამარჯვებაა.

აი კიდევ უდრეკი პიროვნება, გოდერძი, („პოემა ეთერი“) რომლის დასამორჩილებლად ძლიერი მეფე, გურგენი, სარგებლობს მშობლის უფლებით და შვილს გარისხავს, გააგდებს მამის უნებურად ცოლის შერთვისათვის. გოდერძი ქედს არ იხრის, მშობლის უფლებას უპირაპირებს თავის ნებას,—პიროვნების უფლებას. მას სულაც არ აწუხებს ტახტის დაკარგვა და თავს არხეინათ გრძნობს. მაგრამ ბოლოს თვით ჯოჯოხეთი ამხედრდა გოდერძის წინააღმდეგ კუდიანი დედაბერისა და შერეს სახით. ამას გოდერძი ველარ უმკლავდება და კვდება, კვდება ქედმოუხრელი, გამარჯვებული: სიკვდილის წინ მტრების ჯიბრზე უკანასკნელად ჩაიკრავს გულში ეთერს, რომლისთვინაც გადაეკიდა მას ამდენი ჯოჯოხეთური ძალა. ეთერიც ზედ დააკვდება.

ეს უდიდესი პოეტური პიროვნების [illegible] წინააღმდეგ, გოდერძიმ ქედი არ მოუხარა მშობლის წინაშე, არ დაუმორჩილა მას საკუთარი ზრახვა-წადილი და მოკვდა მასან ერთად, ვისთაც ძალად აშორებდენ. ამაშია მისი გამარჯვება.

გოდერძის მოწინააღმდეგენი კი სასტიკად დამარცხდენ. გურგენი გაუბედურა ერთათ ერთი შვილის დაკარგვამ, მას მემკვიდრე აღარ ჰყავს და სამეფო სხვას დარჩება. სულის გამყიდავი შერეც გაგიჟდა და დანით თვალები დაითხარა.

ძლიერი პიროვნების გამარჯვება ამ ლამაზ და კოხტა პოემაში საუცხოვოთაა გამოხატული. გოდერძი და ეთერი არამც თუ ცოცხლები, მკვდრებიც კი ვერ დააშორეს ერთმანეთს, ისინი ერთად ასაფლავიან; მათ გულზე ია-ვარდია ამოსული; მათ ბულბული უგალობს საღამოთი და დილითა; მათი საფლავიან ოქროს მილით გამოდის უკვდავების წყარო, სიმბოლო სილამაზე-სიყვარულის უკვდავებისა.

სულ სხვაა მინდია. („გველის მჭამელი“). ის მდიდარია გონებით და გრძნობით, მაგრამ აკლია ხასიათის სიმტკიცე. მან ძლიერი ნების-ყოფა ბოლომდის ვერ შეინარჩუნა და დამარცხდა, დაეცა, რადგან ქედი მოუხარა და აჰყვა წუთილმან ცხოვრებას. უარესი მოუვა მათ, ვინც მუდამ სხვისი ფიქრითა და ჭკუით ცხოვრობს.

ამგვარივე იდეით არის მდიდარი სხვა მისი პოემებიც. ისინი საუცხოვო დასურათებაა ინდივიდუალისტური პრინციპისა, რომელიც გვასწავლის: იყავ თავის-თავად, დამოუკიდებელი და საკუთარი ნება-სურვილი არავის დაუმორჩილო.

## II.

ვაჟა გმირული სულის თაყვანისმცემელია. მან იცის, რომ „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა“ და ამბობს: „სიკვდილის ბრჭყალით ვერ გიხსნის ძალა, ვერც სიტყვა ცბიერიო“, ცხოვრება ბრძოლაა და ამ დაუნდობელ ბრძოლაში „ყველას ისა სძლევს, სიცოცხლეს ვინაც არ აგდებს ჩალადა“ (მხედართა ძველი სიმღერა). ვინც ემალუება უშინაარსო სიცოცხლეს და გაურბის ბრძოლას, ცხოვრების ამ ერთად-ერთ შინაარსს, ის ლაჩარია. მისი არაფერი არ ვარგა: არც საქმე, არც სიტყვა, არც აზრი, რადგან „დაშინებულის ლეშიდან ფიქრიც მშიშარა შობილა“. (ქებათა-ქება.) საზიზღარია ასეთი ადამიანი!...

„რად მინდა უშინაარსო სიცოცხლე ოხერ-ტიალი“, გაიძახის პოეტი (შენდამი) და უმღერის, „ვინც გამწარებულ სიცოცხლეს დაამჯობინებს სიკვდილსა“. მგოსანს გამოჰყავს ლომგული, რკინის მკვნეტავი შეუდრეკელი გმირები და გახარებს მთლიანი, შინაარსიან სიცოცხლეს. ვაჟას გმირები გაიძახიან: „სიცოცხლეს აუგიანსა სიკვდილი მიჯობს ხმალზედაო“. (ბახტრიონი). მათ სწამთ, რომ „ათას ცოცხალსა ბევრჯერა ათჯერ სჯობს ერთი მკვდარიო“. („ხმელი წიფელი“).

და არც ერიდებიან სიკვდილსა, ამ უხეშავ, ფატალურ ძალას. მგოსანიც გულგრილად უყურებს სიცოცხლის დასასრულს. „განა რა საკვირველია ადამიანი კვდებოდესო?.. ის უფრო უნდა გვიკვირდეს, ეს ასე არა ხდებოდესო“, (ჭირისუფალი). მას ისა სწყენს და აწუხებს მხოლოდ, რომ სიკვდილი ავსა და კარგს არ არჩევს. „პუნების ცოდვა ესაა, მუდამ საწყინო ჩემია: ავსა და კარგსა ყველას ჰკლავს, არვინ გადურჩენიაო“, ნაღვლიანად ამბობს მგოსანი. („სტუმარ-მასპინძელი“).

როგორც მოგახსენეთ, ვაჟას გმირები არ გაურბიან და, თუ უდროოთ შეეყარენ,—ებრძვიან, არ ნებდებიან, რადგან „ვერ იტანს ვაჟკაცის ფიქრი გულზე ხელების კრეფასა“. ვაჟკაცი ბრძოლაში უნდა მოკვდეს და არა ლოგინში. ის უკანასკნელ წუთამდის ებრძვის ურჩინარ ძალას და რაკი ველარას გახდება, ისევ ანდერძს სტოვებს: „ვინც ჩემ იარაღს იხმარებს ერთგულად, დაუმცდარადა, ცოცხალიც ვამბობ, მკვდარიცა: ღმერთმა ახმაროს ალალადა. ყველის შრომამაც იქ ნება მშობელ ქვეყნის წამლადაო“. კვდება გმირი და მთები,—ვაჟას საყვარელი მთები—სატირლად სხდებიან, წყაროები შრებიან, მთელი სამყარო გლოვობს. „ცის ქუხილივით გაისმის სოფლად სიკვდილი გმირისა“. პოეტიც სწუხს და ეკითხება: „სიკვდილო, კარგის მოკვლისთვის, ნეტა ვინ გეტყვის ქებასაო?!.“

ვაჟა თანამედროვე მოძმეებში ვერ პოულობს გმირებ. ის უმღერის იმ დროს, „როცა ტყვიის ხმას ეძახდენ დედის ნანასა“, როცა „ომი ქორწილი ეგონათ“ და ნატრობდენ: „მეც მერგოს წილად ომს ყოფნა მეფარველად მამულისაო,—ასე ჰკონია მაშინ კაცს, ნათლული არის ღვთისაო“. („მოხუცის ნათქვამი“). მგოსანი კვირიას პირით ასეთ შენდობას უთვლის იმათ, ვინც სიცოცხლეში სირცხვილი არ ჭამა და ქედი არ მოიხარა: „ღმერთმან აცხონოს გმირები, რომ არ წაილეს საფლავში ლაფით მოსვრილი პირებიო“. („ბახტრიონი“).

თვითონ ვაჟა გმირული სულის პატრონია. მაშ ვინ მიმართავს ასეთი სიტყვებით, თუ არა დევ-გმირი.

„დამსეტყვე, ცაო, დამსეტყვე,
აქა ვარ ჩემი თავითა;
გულითა გაუტეხელი,
მოუღალავი მკლავითა.
რაც უნდა ჭირი მომკერძო,
ბილწთ არ შევეკვრი ზავითა;
მცნებას ვერ შემაცვლევინებ
მოზღვავებულის ავითა!“ („ცრემლები“, 72 გვ.)

პოეტი უარყოფს კომპრომისს, რაც უნდა დამემართოს ავს არ შევურიგდებიო ამბობს, და ვერც ვერაფერი ცნებას, რწმენას ვერ შემაცვლევინებსო. „ვერ მააწონებთ კარგ ყმასა, რაც არ უჯდება ქვაშიაო“.

ეს სიტყვები ახასიათებს გმირს, შეუდრეკელ პიროვნებას, ვისთვისაც საკუთარი რწმენა და ნება ყველაფერია.

არ იფიქროთ პოეტისათვის ადვილი იყოს თავისი გზობის დაცვა. პირ-იქით, ასეთ ადამიანებს სასტიკი ბრძოლით უხდებათ წინსვლა. ყოველი მათი ნაბიჯი მსხვერპლს მოითხოვს და ენერგიაც გაცილებით მეტი ეხარჯებათ, ვინემ ჩვენ, უბრალო ადამიანებს, რადგან ისინი ათასგვარ წინააღმდეგობას აწყდებიან ცხოვრებაში და გვერდის ახვევა კი არ იციან. მათ არ სწამთ მიკიბულ-მოკიბული გზები; მიდიან პირდაპირ და არას დაგიდევენ, თუ გინდ ქვეყანა მტრად გადაეკიდოს. „ცუდის რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანიო!“ ამბობს ვაჟა. („ალუდა ქეთელაური“).

რა გასაკვირველია, რომ ასეთ ამაყ პიროვნებას ყველა და ყველაფერი გადაეკიდოს, ყველამ და ყველაფერმა მოინდომოს მისი წაბდენა, დამხობა და სასიკვდილოთაც არ დაზოგოს იგი, მაგრამ ძლიერი პიროვნება არ გაურბის ბრძოლას, რადგან იცის, რომ გამარჯვება მას დარჩება. და გაიმარჯვებს კიდეც, უეჭველად გაიმარჯვებს, რადგან მას ჰფარავს უძლეველი ძალა. ეს ძალაა—შეუდრეკელი რწმენა თავის-თავისა და შეურყეველი იმედი გამარჯვებისა. „იმას აღარვინ ჰფიქრობდა, თუ მეც რამ ძალა მფარავსო“, მღერის გამარჯვებული მგოსანი,—

„წყლული მხედ გამომესახა,
შუქით ხმელეთი აავსო...
დაკრული სარგოდ მომიხდა,
თუმც სამავნებლოს ეცადა,
რამდენიც დამკრა,
იმდენი მე ავიწიე ზეცადა.
ადამიანად ვისახვი,
მგმობლები დარჩენ მხეცადა
და დავდეგ ცა-ქვეყნის შუა
ქედ მოუდრეკელ სვეტადა.
მორჩა! ველარვინ შემმუსრავს,
რაც უნდა ეცადოს მეტადა.
და თუნდა მთელი ქვეყანა
დამატყდეს ურო-ხვედადა,
წარბ შეუდრეკლად ვყუდივარ
ჩემთა წადილთა ბედადა“.

ვაშა გმირობას და შეუდრეკელ ნებას! მხოლოთ ამათი წყალობით ხდება ასეთი სასწაული. ვისაც გამარჯვება სწამს და მისი იმედი აქვს, იმას ვერაფერი უკან ვერ დაახევინებს, ვერავითარი დაბრკოლება განზრახვაზე ხელს ვერ აღებინებს, რადგანაც „შეუდრეკელია გმირობა“.

„ნუ ჰფიქრობ, ტანჯვით ცხოვრებამ მომიკლას შენი ტრფიალიო“,—მიმართავს ვაჟა თავის მამულს.—

რად მინდა უშინაარსო
ცხოვრება ოხერ ტიალი?!
გასალ-კლდევებულს აზრითა,
რას მიზამს შხამის ფიალი,
ზედ მოხეთქება მეხისა,
თავზედ ყვავ-ყორანთ ფრიალი?!.
...იმატებს ტანჯვა?
უწყიდე, ტრფობაც აიწევს მეტადო,“
(შენდამი)

ამ გმირულ სულთან ვაჟაში შეხამებულია სილამაზის თაყვანისცემა. ის ყველაფერში სილამაზეს ეძებს, პოულობს კიდეც და შეტრფის მას.

ვაჟას სიყვარულს მშვენიერებისადმი საზღვარი არა აქვს. ის მგელსაც კიეუბნება, მიყვარხარო, „იმიტომ რომ, შენს ცხოვრებაში სილამაზეს ვხედავო“. მგელი კი იმიტომ არის ლამაზი, რომ ის პირუტყვი, აჯერხებს და გონიერ ადამიანს ცხვარსა სტაცებს. ზოგჯერ ისე გათავხედდება, რომ სოფელშიც შემოპარება. ძაღლები ყეფას ასტეხენ. „სოფელს სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦ ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზოგადოების გამგეობამ ბ. გუბერნატორიდან ნებართვა მიიღო გახსნას სოფ. შროშაში (შორაპ. მაზრ). უფასო წიგნსაცავ სამკითხველო.

✦ ამ ორი კვირის წინათ ლეჩხუმის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა თავ. ი. დ. გელოვანმა საოლქო სასამართლოს გასწვრივ მდ. რიონზე გააკეთა ბორანი, მაგრამ მოდიდებულმა რიონმა ბორანი მოიტაცა.

✦ საოლქო სასამართლოს სესია ზუგდიდიდან უკვე დაბრუნდა.

## თბილისი.

— ომში მოკლული. როგორც ტფილისში ცნობა მოვიდა, 19 მაისს აღმოსავლეთ ასპარეზის ბრძოლის ველზე მოუკლავთ თ. დი კონსტანტინე ალექსის ძე მუხრან-ბატონი (მუხრანსკი).

— წესიერი დასვენება. 20 მაისს იმ შერეულ კომისიის კრება მოხდა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს სახელოსნო და დაწესებულებებში მოსამსახურეთა წესიერ დასვენების სავალდებულო დადგენილებანი. თავმჯდომარეობდა მ. ი. ხატისოვი. კომისიამ მსჯელობა იქონია საანკეტო ფურცლების შესახებ, რომელიც უნდა დაეგზავნოს სახელოსნო დაწესებულებათა მოსამსახურეთ და სახელოსნო დაწესებულებათა პატრონებს. შემუშავებულ იქნა საანკეტო ფურცლები, რომელიც ოთხს აქაურს ენაზე დაიბეჭდება. ფურცლების დაგზავნა დაევალა საგანგებო ბიუროს. კომისიის შემდეგი კრება შემოდგომაზე მოხდება.

— წითელი ჯვარის საზოგადოება ამ დღეებში ორთაჭალაში გახსნის სავსიხიატრო საავათმყოფოს 40 საწოლით.

— მაისის დამლევს ცნობილ მომღერალ სანდრო კავსაძის ლოტბარობით გაიმართება კონცერტი ფრიად საგულის ხმო პროგრამით. სხვათა შორის, შესრულებულ იქნებიან ახალი ხალხური სიმღერები და სცენები სოფლის ცხოვრებიდან, დასურათებული იქნება დღეობა სიმღერა ცეკვა-თამაშობით.

— ახალი ქართული გრამატიკა. როგორც გავიგეთ, ბ ნ თ. ჟორდანიას განუზრახავს თავის გრამატიკის ახალი გამოცემა და უკვე შე'დგომია კიდეც შრომას. წინანდელი გამოცემა მთლად გადაკეთებული იქნება, მასალა ერთი-ორად გადიდებული. წიგნი შემოდგომაზე გამოვა.

(ს. ფ.)

## მოხსენება.

ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მზრუნველ კომიტეტს, ამავე გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ შემდეგი მოხსენება წარუდგინა:

ჩვენს დროში არ მოიპოვება ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული ადამიანი, რომ არ ესმოდეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს სამშობლო ენას სწავლა-აღზრდისა და საზოგადოთ განათლების სფერაში. მეცნიერებამ დიდი ხანია უტყუარ ჭეშმარიტებათ აღიარა ის აზრი, რომ ყმაწვილის ნორმალური, გონებრივი და ზნეობრივი განვითარება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა მისი სწავლა-აღზრდის საქმე მისივე მშობლიური ენის საშუალებით სწარმოებს. ეს ჭეშმარიტება იმდენათ ცხადია დღევანდელ ინტელიგენტისათვის, რომ მის დასაბუთებაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ; ვიტყვით მოკლეთ, რომ, თუ კერძოთ ქართველი ახალგაზრდობისა და ხალხის გონებრივი და ზნეობრივი განვითარება შედარებით ჩამორჩენილია, თუ ქართული სალიტერატურო ენა საკმაოთ შემუშავებული და დამკვიდრებული არ არის და საერთოდ თუ დღევანდელი ქართული კულტურა მკრთალი და ღარიბია,— ყველა ამის მიზეზი უმთავრესათ სამშობლო ენის უუფლებობაა, საკუთარი ეროვნული სასწავლებლის უქონლობაა.

საბედნიეროთ, დღეიდან ამ მხრით ჩვენს ცხოვრებას ცოტაოდენი სინათლე ეფინება, ვინაიდან წარსული 1914 წლის პირველ ივლისიდან სახელმწიფო სათათბიროსაგან დადგენილი და სახელმწ. რჩევისაგან დადასტურებული კანონი კერძო სასწავლებელთა შესახებ ხელმწიფე იმპერატორისაგან დამტკიცებულია.

ხსენებული კანონის ძალით კერძო სასწავლებელთ უფლება ეძლევათ—ყველა საგანი, გარდა რუსული ენისა და სიტყვიერებისა და რუსეთის ისტორიისა და გეოგრაფიისა, სამშობლო ენის საშვალებით ასწავლონ.

ამ სახით, დღეიდან იწყება ახალი ხანა ქართული სკოლებისა, ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-განათლებისა, რაიცა, თუ გონიერათ ვისარგებლებთ, დიდ წარმატებას უქადის ჩვენის მომავალი თაობის ზნეობრივსა და გონებრივ განათლებას, და, მაშასადამე, პრინციპიალურათ შეუძლებელია ვინმე ამ კანონის სარგებლობის წინააღმდეგი შეიქნეს. საკითხი მხოლოდ ის არის, თუ პრაქტიკულათ რა სახით გავატაროთ დღეს იგი ჩვენს ცხოვრებაში.

ამ საგანზე მდგომარე წელს ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ რამდენჯერმე მსჯელობა იქონია და დაადგინა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან, ე. ი. მდგომარე წლის 1 სექტემბრიდან, ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში შემოიღონ ახალი კანონით სწავლება მოსამზადებელსა და გიმნაზიის 1-ლ კლასში. პედაგოგიური საბჭო ფიქრობს, რომ ერთბაშათ გიმნაზიის ყველა კლასში ახალი კანონის გატარებისათვის დღეს რიგიანათ გამზადებული არა ვართ და აჩქარებით ამ დიდი საქმის დაწყებამ, ადვილი შესაძლებელია, სარგებლობის მაგიერ ზიანი მოიტანოს; ამიტომაც პედაგოგიურ საბჭოს უფრო საიმედოთ მიმჩნია, რომ კანონი დღესდღეობით მხოლოდ გიმნაზიის 1-ლ. კლასამდე განახორციელოს, რისთვისაც საბჭოს სახელმძღვანელოებისა თუ მასწავლებელთა გამოცდილების მხრით, ნიადაგი საკმაოთ მომზადებულათ სთვლის. დანარჩენ კლასებში ყოველწლიურათ თანდათანობით უნდა გავრცელდეს აღნიშნული კანონი, სანამ იგი ყველა კლასში არ იქნება შემოღებული.

რაც შეეხება დეტალიურათ ამ საქმის მოფიქრებასა და მოწყობას, ქუთაისის ქართული გიმნაზიის საბჭო უკვე შეუდგა ამ საგანზე ზრუნვას და მდგომარე საზაფხულო კანიკულების დროს ეცდება სავსებით გაითვალისწინოს იგი.—თფილისის ქართულ გიმნაზიასთანაც გვქონდა ამ საგანზე მოლაპარაკება—და, როგორც პრესაშიც აღინიშნა, იქაც ამ გზას ადგანან.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო პატივისცემით მიმართავს ამავე გიმნაზიის მზრუნველ კომიტეტს ზემოაღნიშნული მოხსენებით და უმორჩილესათ სთხოვს—დაადასტუროს საბჭოს მიერ განზრახული მიზანი და იშუამდგომლოს თავად-აზნაურთა ახლო მომავალი კრების წინაშე, რათა თავისი დასტური გვიბოძოს აღნიშნულ მიზნის განსახორციელებლათ.

ეს მოხსენება ქართ. გიმნაზიის მზრუნველმა კომიტეტმა წარუდგინა თავ. აზნაურთა საგანგებოთ მოწვეულ კრებას. კრებამ მოხსენება ერთხმათ მიიღო. კრების თავჯდომარე თ დ. დ. ო. ნიჟარაძე დაჰპირდა მზრუნველ კომიტეტს, რომ იგი მოხსენებაში დასახულ მიზნის განსახორციელებლათ თვით ხელმწიფე იმპერატორსაც კი ეახლება.

## უკანასკნელი ცნობა.

**პეტროგრადი**. 21 მაისი. მთავარ სარდლის შტაბიდან. გალიციაში ბრძოლა წინანდებური სიმკაცრით გრძელდება. სანის მარცხენა ნაპირზე ჩვენმა ჯარმა გაარღვია მტრის ფრონტი რუდნიკის რაიონში. ტყვეთ წამოყვანეთ 4000 კაცი, ზარბაზნები და მრავალი ტყვიის მტყორცნელები. პერემიშლის დაცვა მისი არტილერიის საშვალებით და მისი შენარჩუნება შესაძლებელი იყო მხოლოდ მანამდის, სანამდის ჩვენ გვიადვილებდა სანზე ბრძოლის წარმოებას.

როდესაც იაროსლავი და როდიმნო მტერმა დაიპყრო და ამის შემდეგ სანის მარჯვენა ნაპირზედაც გამაგრდა, დასახელებულ პოზიციათა შენარჩუნება ჩვენ ჯარს აიძულებდა, ბრძოლა ეწარმოებინა უხერხულსა და გალუნულ ფრონტზე, რომლის სიგრძე 35 ვერსს უდრიდა ამასთანავე ჩვენი ჯარის წინააღმდეგ მოქმედებდა მტრის აურაცხელი მძიმე არტილერია ამის გამო უკვე რამდენიმე ხნის წინ ჩვენ შეუდექით დასახელებულ ფორტებიდან სხვა და სხვა ქონების გამოტანას 20 გამოვიტანეთ უკანასკნელი ბატარეია და ღამით ჩვენმა ჯარმა გაცემული ბრძანების გამო დასტოვა სრდილო და სამხრეთის ფორტები და გადავიდა უფრო მოხერხებულ ადგილზე.

## ბ. თ. ე. კოტილევსკის წასვლის გამო.

1910 წელში კომერციულ სასწავლებელთა ინსპექტორის ბ. ფიშერის თანადასწრებით მოხდა თათბირი ქუთაისში კომერციული სასწავლებლის დაარსების შესახებ. თათბირზე დაესწრენ ქ გუბერნატორი, ქალაქის თავის მოადგილე ბ. მოსიძე, ვაჭრების წარმომადგენელნი და სხვა საპატიო პირები. ყველა დიდი ინტაცებითა და თანაგრძნობით შეხვდა სასწავლებლის დაარსების საკითხს. თითქმის ყველა თანახმა იყო [illegible] გახსნილიყო კომერციული სასწავლებელი, მაგრამ, აქ როგორც ყოველთვის, ახლაც ამ კეთილ საქმეს გაუჩნდა თავის დამაბრკოლებელი მიზეზები. ყველაზე უფრო დამაბრკოლებელი მიზეზათ ის იყო, რომ სამოსწავლო მთავრობამ, ბ. კრუპსკის წყალობით, კომერციული სასწავლებელი აღიარა სახელმწიფო სასწავლებლის მეტოქეთ.

კომერციული სასწავლებლის მომხრეთ სახალხო სამინისტროში მოსამსახურე პირებს ჩუმი დევნა დაუწყეს.

სხვათა შორის მე ამსტრიქონების დამწერი, ბ. კრუპსკის მოხერხებული მოქმედებით, იძულებული შევიქენი ორი კერძო სასწავლებელი დამეხურა, რადგანაც მასწავლებლები ხელიდან გამომეცალა და სხვა მასწავლებლების მოწვევის ნება არ მომცა.

ასეთივე ბედი მოელის ქუთაისის საზოგადოების კარგათ ცნობილსა და პატივცემულ პირს ბ. კოტილევსკისაც.

ეს მესამე წელიწადია, რაც ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი კოტილევსკი გვერდს უდგია მათ, ვინაც თავს იდვეს კომმერციული სასწავლებლის საქმეების დაბოლოვება, და შრომობს, როგორც კი შეუძლია. განა ეს ჩვენში დაიმალება? ან რა სამალავია, რომ განათლებული პირი კეთილ საქმეს უწევდეს? არა აქ სულ სხვა სარჩული დაუდვის და საქმე იქამდი მიიყვანეს, რომ ვითომ კომერციული სასწავლებლის გახსნა ქუთაისში სამინისტრო სასწავლებელს სამარეს უთხრიდეს. მართალია, კონკურენტი არავის უყვარს, მაგრამ საქმის წინ მსვლელობისათვის კი, ის საჭირო და სასარგებლოა.

ბ ნ კოტილევსკის დირექტორობის ხანა ქუთაისის სავაჟო და საქალებო გიმნაზიებთავის "ოქროს ხანად" უნდა ჩაითვალოს:

. . . . . .

მე ადრევე მოვახსენე კოტილევსკის და მივაქციე მისი ყურადღება იმას, რომ კო

---

ცოცხლის ფერი ედება. იძახიან, მგელია, მგელიო". ის კი სამცხვარეში შეასწრებს და ორ ცხვარს დაკლავს. ამ დროს მოასწრებენ და გარბის, მაგრამ „დარჩა პირღია მწყემსი. სოფელმა დიდ-ხანს ილაპარაკა მგელზედ, ყველას სიცოცხლის ფერი დაედო იმ ხანებში". ამიტომაა ლამაზი მგელი.

სიფხიზლე, გამბედაობა, მოხერხება და შეუწყვეტელი ბრძოლა არსებობისათვის— აი რას ეტრფის ვაჟა. განსაკუთრებით კი ვაჟას მოსწონს მთები, როგორც სიმბოლო ბუმბერაზობის, გაუტეხელობის და სიმაღლისა.

მთები ვაჟასათვის ცოცხალი არსებაა. მათ შეუძლიათ ფიქრი და გრძნობა. თოვლით დაფარულ მთეზედ მგოსანი ამბობს: „სუდარ-ჩაცმულნი მთანი დგან, ფიქრის მზიდველი მწარისაო". („გოგოთურ და აფშინა").

როდესაც „ნისლი, დაღლილი ცურვითა" (კოპალა) „დაისვენებენ მთაზედა", მაშინ იტყვის: „ღრმა ფიქრით შებურვილანო", რადგან „ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინი". როცა პოეტი ხედავს უზარ-მაზარ მთებს, რომელთაგან ზოგი იმ სიმაღლეა, რომ „ცის გულ-მკერდს ჰკოცნიან", დგანან მდევებივით, წარბ-შეუხრელად და იტანჯებიან მუდამ ერთ ადგილას დგომით,—ხან ნისლს დაიყრიან მძიმე ფიქრებივით და ხან გადაიწმენდენ,—აღტაცებით წამოიძახებს: „ნეტავ ბუნების ქმნილება სხვა მათ რა შაედრებისა, მალ-მალე შავი ჯანღები თავზე რომ დაეფარებაო?"

თუ წვიმა მოდის, პოეტი ასე იტყვის: ღრუბლებმა ალმასის ცრემლებით „ჩარეცხეს, ჩაალამაზეს მთების გულ-მკერდი კლდიანიო" (ბახტრიონი). და როცა ნაწვიმარზე გადაიწმენდს და გამოცოცხლებული ბუნება ხარობს, ვაჟა ველარ ითმენს და ქვეყნის მშვენიერებით დამთვრალი შეჰღაღადებს:

„მოგესალმებით, ქედებო,
მომაქვს სალამი გვიანი,
ჩემსაც სამარეს ამკობენ
თქვენი დეკა და ღვიანი!
თქვენგანა გულობს ეს გული,
შიგ გრძნობა უდუღს ღვთიანი.
თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ,
ლალიან ბარაქიანი.
ნუმც გაჯავრდება პირი-მზე,
ნუმც დამწყევლიან იმნი,
რომ იმათ დედის ძუძუთი
ვსუქდები ცოდვილიანიო." (ibid.)

პოეტი უკმაყოფილოა სილამაზის დღეოკლეობით, და სურს, რომ უკვდავი იყოს მათთვის სილამაზე იგი. ცისკრის ვარსკვლავი, რომელიც ყოველ დღე ქრება და ყოველ განთიადზე ისევ განახლდება, ვაჟას აგონებს მარადისობას და ათქმევინებს: „ნეტავი ყველა ლამაზსა ესე სიკვდილი ხვდებოდა! დღეს მკვდარი, ხვალე დილითა ცოცხალი წამოდგებოდაო". მას სურს, რომ სილამაზე იყოს უკვდავი და სამარადისო.

ვაჟა გამხდარა მინდიასავით ბუნების მესაიდუმლე. ის „ასე ვსთქვათ, უტყვსა და უსიცოცხლო ბუნებას გულსა და სულში ჩაუძვრა, სიცოცხლე შთაბერა, ვითა ღვთაებამ თიხის ტიკინას და მეტყველად გადააქცია იგი, ფიქრითა და აზრით აღსავსედ, რომლის შეგნება შეუძლია მარტო განგებისაგან დაჯილდოვებულ მგოსანს —ამ 7 ზეკაცს, ნაზი ნერვებისა და ვნების პატრონს." (კ. აბაშიძე. „ეტიუდები" ტ. II, გვ. 221.)

ამიტომ მან სავსებით შეიგნო ბუნების სიდიადე და სისრულე, საკვირველის ხელოვნებით გვაგრძნობინა ეს ჩვენც; მასთან ერთად ჩვენც შევნატრით ბუნებას და ვეკითხებით: „მაშ კაციც შენებრ ძრიელი ღმერთს რად არ გაუჩენიაო?"

ხშირად ვაჟა წამოაყენებს ხოლმე ღრმა პრობლემებს და თავისებურადაც გადასჭრის მათ, მაგრამ ეს მას არ აკმაყოფილებს და პოეტი სულიერად იტანჯება.

„ვიდრე ტანჯვაში გხედავ უბედურს,
არ შეიძლება, უნდა ვიტანჯოო",

ეუბნება ის თავის საყვარელ სამშობლოს, რომლის ხსენებასაც ასე ერიდება და უფრთხილდება. „შენს ყოფნას ჰკავდეს მსურს ჩემი ყოფნაც, თუნდა ძაღლ-დონე უბრალოდ ვხარჯოო", რადგან „ბედნიერად თავს მაშინა ვგრძნობო" და არც სინიდისი მაწუხებს, არც ვიღლებიო, ვამაყობ, წელში ვსწორდები და ვნეტარებო. მაგრამ იქვე დასძენს: „ვბრიყვდები ამით—ვითომ შველაა, რომ შენს ტანჯვის დროს მეც ვიტანჯებიო?"

პოეტი ვერ შერიგებია ბუნების წესს, როცა ერთი მხრით ხედავს შვილ-მკვდარს, მტირალ დედას და მეორე მხრით მეორე დედას, რომელიც შეხარის მოტიტინე პატარა შვილს და მხიარულებს; როცა ხედავს წყვილი ბულბული უგალობს უხვად აყვავილებულ ვარდს და იქვე გაყვითლებულ ვარდს კი ყურადღებასაც არავინ აქცევს. როცა ხედავს, წაქცეულა და ქვეყნის სათვალავ გამხდარა უზარ-მაზარი მთა, რომლის „მწვერვალის შეხება არწივსაც უძნელდებოდა," მაშინ პოეტი იგონებს „უცვლელს ბუნების კანონსა". ყველა ამისი მნახველი, აღარ ვდარდობდი ძალიან, თვალებზედ ცრემლი მშრებოდაო," ამბობს, „ავდევ ჩ ვდევდი სოფელსა, ვბაძავდი რასაც ვჰგებოდაო." მაგრამ მგოსანის გული „სამუდამოდ, საბოლოვოდა, ამ წესს ვერ შეჰრიგებოდა." გონება ვერ ურიგდება იმას, რომ ერთი საათის სიტურფე ათასის წლისას უთანასწორდება,—რადგან ამასაც დასასრული მოელის, ესეც გაჰქრება ადრე თუ გვიან და „რადა? რად არის ასეო?" ჰკითხულობს შეწუხებული მგოსანი.

„რად გვინდა ნეტავ სიცოცხლე, ეს ამოდენა ამბები, თავში სიცილი, მოლხენა, ბოლოს ვაი და დარდებიო!" ჰკითხულობს ვაჟა. „ერთია, თუნდა ჩვენ ვიყვნეთ და თუნდა მინდვრის თაგვები. გავერანდება ერთხელაც ტურფად შემკული ბაღები, ჩამოინგრევა დარბაზი და სასახლისა თაღები; ცრემლს დაუწყებენ ფრქვევასა დღეს მოლხინარი ბაღლები." ასეა ამ წუთი სოფლის თვისება და ჩვენ „ვერაფერს ვიზამთ ომითა, არას გვიშველის გონება, ქრთამი და ხვეწნა-მუდარა, ხმალ-ზარბაზნების ღრიება, დიდი ჭკვა, გამოცდილება, ქველობის გამოჩენება."

საბრალო ადამიანი უძლურია წარმავალობის წინაშე. „განგების გასართობნი ვართ ჩვენი ქირით და ლხინითაო", დაასკვნის პოეტი. „ამის მეტს ვერ თუ შესძლებდა, ღმერთმა ინება იმითა,—დაგვალოს, ოფლი გვადინოს, მერე გაგვაძღოს ძილითა, რომ ბოლოს სიტკბო ვიგემოთ გამსჭვალულებმა ქირითა." ალბათ ა'ე სჯობს და ჩვენ ვერ მივუხვდებით განგებასაო. რასაკვირველია საქმის განგებაზედ მიგდება არაა საკითხის გადაჭრა და აუხსნელი რჩება—რათაა ცხოვრება ტანჯვა— სიამით შეზავებული?

აი ასეთი ღრმა დარდებითაა გამსჭვალული ჩვენი მგოსანი. მან ვერც გადასჭრა და ვერც თავიდან მოიშორა ცხოვრების ამოცანები. ამიტომაა, რომ გაიძახის: „სოფლის წყლულებმა გამსენესო" (მესტვირის ჩივილი) და „კაცი სადი და ჯან-მთელი ფიქრისაგან ვარ ავათო". (ქებათა-ქება). ვის არ მოქანცავს და მოსტეხს ეს განუკურნებელი სენი! მაგრამ ვაჟა მას უმკლავდება, პესიმიზმს არ ნებდება და მღერის, რომ დარდი მოიკლას. დამახასიათებელია, რომ მის ლექსებს, თითქმის უმრავლესობას, „სიმღერა" აქვს სათაურად.

ჩვენ დავინახეთ, რომ ვაჟას უყვარს სრული პიროვნება და უგალობს თავგანწირულ გეროიზმს, თავის მე-ობის, თავის პიროვნების დაცვას და თაყვანს სცემს სილამაზეს. დავინახეთ, რომ ის გამსჭვალულია ადამიანისადმი თანაგრძნობით და იტანჯება სოფლის წყლულებით.

ცხადია, ასეთ ადამიანის გემოვნებას, მის ზნეობრივ და ესთეტიურ მოთხოვნილებას სავსებით დააკმაყოფილებს პატარა საქართველო, ეს გმირთა ქვეყანა, ეხლა დაბეჩავებული, მაგრამ ერთ დროს კი სახელოვანი.

განა საქართველოს წარსული უზომო გეროიზმით არაა აღსავსე? განა ქართველების თავგანწირული ბრძოლა საკუთარი თავისებურობისა და თავისუფლების დასაცავად აღტაცებას არ გამოიწვევს კეთილშობილ ადამიანში? მაშ, რად ასწერა თვითონ ვაჟამ ასე საუცხოვოდ „ბახტარიონში" ერთი ეპიზოდი ამ შეუწყვეტელი ბრძოლისა, რად შეგვაყვარა დევ-გმირიზეზვა და ლუხუმი? სილამაზითაც ხომ მთელ ქვეყანაზედ პირველნი არიან ქართველები და მათი ქვეყნის თვალწარმტაცი ბუნება, რომლის მესაიდუმლეთ თვითონ ვაჟა გახდარა. მარტო ის მთები რათა ღირს, ვაჟამ რომ სული ჩაუდგა და გული აუტოკა, რომელნიც „ფიქრს მისცემიან მწარესა" და რომელთა მწვერვალზედ ქვითინებს „ოცნება ტანჯული ქვეყნისა?" ან როგორ მოითმენს მგოსანი ნაზი არსება, რომ არ თანაუგრძნოს ბედკრულ ქვეყანას, როდესაც ხედავს, რომ „გაღმა გასვლისა მოსურნეთ უკუღმა მიგვყავს ბორანი".

დიაღ, საქართველო უხვად შემკულია ყოველივე იმით, რაც ვაჟას მოსწონს და ამიტომაც გაგიჟებით უყვარს ის. უყვარს კიდევ იმიტომ, რომ საქართველო მისი სამშობლოა. უყვარს, რადგან აქ დაიბადნენ და აღიზარდნენ თვითონ პოეტი და მისი საუკეთესო გმირები. პირუტყვსაც უყვარს მშობელი კუთხე; ფრინველებიც კი ვერ შორდებიან მას სამუდამოდ. და ადამიანს ხომ მეტი მოეთხოვება? „მიწაც ტკბილია მშობლიური, გულს რომ ეყრება ფხვიერაო", ამბობს ვაჟა და „ვერ მივსცემ მტერსა მამულსა საჯიჯგნად, დასაზიანადაო"—მღერის. „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლეო", მძინარეც ამას ღუღუნებს. მაგრამ ზოგიერთებივით მუდამ სამშობლო არ აკერია პირზე. ის ერიდება მის სატრფიალო საგანს და იშვიათად, მოკრძალებით ახსენებს მის სახელს. „ბრიყვების სმენა ღირსია ვასმინო შენი სახელიო? თვით გიცნობს, ვისაც უყვარხარ, არ არს საჯაროდ სათქმელიო." (შენდამი). მთელ მის ნაწერებში ორ-სამხელ თუ შეხვდებით სამშობლოს ხსენებას. სამაგიეროთ ყოველ ნაბიჯზე იგრძნობთ მისდამი ღრმა სიყვარულს. აბა დააკვირდით, თუ მისი „დაჭრილი არწივი" სამშობლოს არ ნიშნავს? ან „ბებერი ლომი" რა არის, თუ არ დაუძლურებული საქართველო? რას მოგვაგონებს მისი „ხარი ირემი", რომელსაც ქიდილში რქები დამტვრევია და სირცხვილისაგან იმალება,—თუ არ ბრძოლით დაქანცულ საქართველოს დამოუკიდებლობა რომ დაუკარგავს? ჩვრან ტყეში ამოსული „ია", რომლის „ერთის თვის სიცოცხლე სხვის ოცდაოთხი თვის სიცოცხლეს სჯობია", გინდ „ხმელი წიფელი", რომელიც „არ მოიდრიკება კი, და თუ მოტყდება, იმისი რა ვსთქვათ", —ყველა ეს იმისი განაწამები საქართველოა.

სულ-მნათი ბაკი თუ თავის სამშობლოს ავადმყოფს ადარებს და დაჟინებით გაიძახის: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავსო"—ვაჟას მისი ქვეყანა ეჩვენება „მთის წყაროდ", რომელმაც საშინელი სიზმარი ნახა: ვითომც გველისაგან დამშრალიყო, თანაც მიწამ პირი უყო და უნდა უფსკრულში დაეღუპულიყო,—გამოეღვიძა და შიშს კანკალმა აიტანა. მაგრამ როცა ირემი მოვიდა, „დაეწაფა მის წმინდა წყაროს, დალია და გაძღა, მაშინ გულ-დამშვიდებულმა სთქვა:—არ ვარ გამშრალი, არაო!"

დიაღ, არ დამშრალა სიცოცხლის ენერგია იმ ერისა, რომელმაც წარმოშვა ვაჟა ფშაველა.

 პ. ჭანიშვილი.

ქიათურა.

მერციული სასწავლებლის საქმეებში მისი შერევა უფროსთათვის არ იყო სასურველი, მაგრამ მას სასაცილოთაც არ ეყოფა ჩემი სიტყვები.

განა ეს დღეები არ დაადგა წინა წლებში ყველასაგან პატივცემულსა და საყვარელ ი. ე. გამყრელიძეს? განა გულში ეკლად არ ესობა ზოგიერთებს მისი ისევე სასწავლებლის სათავეში ყოფნა?

აი, ასე გახლავთ, ბატონებო, ჩვენი საქმე: როგორც დარწმუნებით ვიცი, სამწუხაროდ ჩვენდა და მოზარდთა, ჩვენს სავაჟო და საქალებო გიმნაზიებს თავს ანებებს ყველასთვის ძვირფასი ხელმძღვანელი თ. ე. კოტილევსკი. ეს ვითომ ჯერ ადრე ვუყივლე, მაგრამ განა შუბი ხალთაში დაიმალება!

ყველას სამწუხაროთ ურჩება ბ. კოტილევსკის დაშორება და, ვფიქრობ, უკვალოთაც არ ჩაივლის ეს.

კ. მკურნალი.

## წერილი ლეჩხუმიდან.

საშინელმა კატასტროფამ-საკაცობრიო ომმა, ბევრს გაუღვიძა მადა გამდიდრების და სიხარულით ცას ეწევა, რომ დადგა დრო მისთვის სანეტარო და სასიხარულო, თუ უწინ მანეთს ატყუებდა ზედ მეტად მასზე დამოკიდებულ „მუშტარს“ დღეს ხუთ მანეთსაც აღარ სჯერდება. ან რისთვის დასჯერდეს. როდესაც გასამართლებელი ფაქტი ხელთ აქვს „ომია ძმაო“ მორჩა და გათავდა, ამ სიტყვებს ისეთი რიხით და ამაყად წამოისვრიან თითქოს მათთვის იდუმალ ხმას ჩაეძახებინოს ომია და ასე მოიქეცითო. მართალია, ომია საშინელი და მისგან გამოწვეულ სატკივრებსაც ყველა კარგათ ვგრძნობთ. ომმა წაგვართვა საუკეთესო ნაწილი ჩვენი ცხოვრებისა, ომმა მოგლიჯა საქართველოს რამოდენიმე ათასი სიცოცხლით სავსე და ღვიძლი შვილი იმსხვერპლა და კიდევ ვინ მოსთვლის თუ რამდენი ქვეყნიური საუნჯე დამარხა, მაგრამ ომმა ჩვენ ვერ უნდა წაგვართვას და ვერ უნდა შეგვირყოს ერთადერთი ჩვენზე განუშორებელი სინდისი, პირიქით, ომმა უნდა განამტკიცოს და გაასპეტაკოს, რათა ამ არა ჩვეულებრივმა მომენტმა ჩვენთვის უმნიშვნელოდ არ ჩაიაროს და გარიყული არ დავრჩეთ. უბედურია ის ადამიანი, რომელსაც სინდისი ვერ შეუნარჩუნებია და სათამაშო ნივთად გაუხდია. ყველაზე უფრო ამ სენმა ჩვენს კურთხეულ ვაჭრებში იჩინა თავი. თუ ქალაქში ცოტა ანგარიშს მაინც უწევენ თვით მართველობა, პრესა და მთავრობა შეერთებული ძალით იბრძვიან ამ სენის წინააღმდეგ და მაინც ვერას გახდარან, თქვენ წარმოიდგინეთ, დაბა-სოფლის ვაჭრები და ხალხი რა მდგომარეობაში იქნებიან. ვინც ამათ თვალ-ყურს ადევნებს და დაუკვირდება, თავის თავს ეკითხება ასეთ მდგომარეობას ნეტა როდემდი უნდა გაუძლოთ?

ამ საერთაშორისო ომის დროს, რომ ჩვენი წამებული ძმების, ქმრებისა და მამების მონაგვარი ქონება ჩარჩებმა არ წაგვართვან ჩალის ფასად და გაციებული და გაცარიელებული კერა რომ არ დავახვედროთ მათ, ისევ ჩვენ-ქალების ვალია. შევიარაღდეთ, არა თოფითა და ზარბაზნით, არამედ სწავლით, სიფრთხილით და სათნოებით. ჩვენც გავარჩიოთ მტერი და მოყვარე, მოყვარეს მოყვრობა გაუწიოთ შინაურ მტრებს კი ვებრძოლოთ მედგრათ, ესაა ჩვენი მოვალეობა, თუ გვინდა ჩვენი ოჯახის სიმტკიცე დავიცვათ. დიახ, შინაური მტერი უფრო საშიშარია ჩვენთვის, რადგანაც არავითარ სულის სიმდაბლეს არ ერიდებიან ჩვენდა დასამარცხებლათ. მაგრამ თუ ჩვენ დედაკაცები ფხიზლათ ვიქნებით დიდაც ვერავინ დაგვამარცხებს. ჩვენ საბრძოლ იარაღად გამოგვადგება ერთად-ერთი გაღვიძებული კოოპერატიული მოძრაობა, რომელიც ეს არის ფეხს იდგამს და ეფინება ქალაქებს, დაბებსა და სოფლებს. ჩვენი ვალია დიდის ხალისით დავეწაფოთ ჩვენთვის სასიკეთო მოძღვრებას და შევიგნოთ კოოპერატივის მნიშვნელობა. დიდის ალტაცებით გვითანაგრძნობენ ჩვენი სოფლის ქალები რაც გინდ ღარიბები იყვნენ, თუ კი ავუხსნით მნიშვნელობას და სარგებლობას, რადგან ყველაზე უფრო მეტი სიმწარე უნახავთ ჩარჩებისაგან. 6 მასხალი აბრეშუმის თესლი 4 მანეთად მოგვაწოდეს და ფუთ პარკში კი 8—10 მანეთს გადმოგვიგდებენ. ჩვენი ნაშრომით მათ ნუ გავასუქებთ.

მეთვალყურე ქალი.

## წერილი სოფელ ნახურცილოვოდან.

(სენაკის მაზრა).

მ. ხ. ბ. რ., დარწმუნებულნი ვართ რომ თქვენი პატივცემული გაზეთი „სამშობლო“, სამშობლოს ინტერესებს იცავს, მისი გამჭრიახი თვალები სამშობლოს ყოველ კუთხისაკენ არის მოპყრობილი და გლეხის დუხჭირ ცხოვრებას ექომაგება. გთხოვთ უმორჩილესად ბეჭდვითი სიტყვით დახმარება აღმოგვიჩინოთ, და ასეთი ჩვენი უნუგეშო მდგომარეობა აცნობოთ მთავრობას, კერძო პირთ და სახელმწიფო სათათბიროს ჩვენ წარმომადგენლებს.

ყველასათვის ცხადია, რომ დღეს მთელი სამეგრელო შიმშილობის გამო უნუგეშო მდგომარეობაშია, მაგრამ ის უნუგეშო მდგომარეობა, ის ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა, რომელსაც დღეს სოფ. ნახურცილოვოს მცხოვრებნი განვიცდით, წარმოუდგენელია. იშვიათია ისეთი მხარე, სადაც თუ ნახევარი წლის არა, 3 4 თვის საზრდო მაინც არ მოსვლოდეთ. სოფ. ნახურცილოვოში კი არიან ისეთი ოჯახები, რომლებსაც სულ არ ღირსებიათ მოსავალი.

რის გაყიდვაც კი შეგვეძლო, ყველაფერი გავყიდეთ, თუ ვისმენ სადმე სასესხებლოდ რამე შეგვეძლო—ვისესხეთ, ახლა არც საზრდო, არც ფული და არც სანოვაგე საყიდლად, თუნდ კიდევაც შეგვეძლოს ყიდვა!

მთავრობა დახმარებას გვპირდება, მაგრამ დრო გადის, ჩვენ შიმშილით ვიხოცებით და დახმარება არსად სჩანს.

ვინ არ იცის, რომ ჩვენი მთავარი ძალა, ჩვენი მარჩენელი დღეს ბრძოლის ველზეა; სამუშაო, რომელსაც ვშოულობდით ზღვის პირა ქალაქებში, დაკეტილია და დღეს ყველა ამას მოკლებულნი ჩავვარდით სასოწარკვეთილებაში.

ჩვენდა სამწუხაროდ ყველა ამას ზედ დაერთო სხვა და სხვა ავათმყოფობა, რომელიც თანდათან ვრცელდება და უფრო სერიოზულ ხასიათს ღებულობს.

კიმოთე ქანდარია, ბარნაბა ხურცილავა, ფ. ჯავაგია, ლადი ხურცილავა, გიორგი ხურცილავა, იონა ვოხია, ანტონი ჯავახია, პორფილე ჯავახია, გიორგი კოხია, დიმიტრი კახია, ფარნა სიორნია, გიორგი ქანდარია, მათეია კოხია, თემუყვა კოხია, ზოსიმე ქანდარია, თედორე ქანდარია, პილა ქანდარია, ოქროპირ ჯავახია, გოგია ჯავახია, უთუ ჯავახია, ნესტორ ჯავახია, პორფირე ხურცილავა, ნიკო ხურცილავა, მამუკია ხურცილავა, ლიზა ხურცილავა, ისიდორე ხურცილავა, კოსტა ჯავახია, ტასია ჯავახია, მაია გვილავას ასული, ნიკო სიორდია, ეფრემ სიორდია, ბუხუტია სიორდია, ონისიმე ბარქაია, პახვალია ბარქაია, კვატი ხარებავა, ივანე ხარებავა, თედო ხარებავა, ისიდორე ხარებავა, სიკოია ხარებავა, ნიკოია ხარებავა, ყუსარია ხარებავა, გერასიმე სიორდია, ვასილ სიორდია, სტეფანე გატუნის ძე ხორდია, ფართხუ ჩილაჩავა, სასია ფირცხელიას ასული, პარფირ შულაია, ირინე ვალანდიას ასული, გუდულა ვაკულია, უტუნა ვაკულია, მატრონა ვაკულია ხარებუას ასული, თედო ვაკულია, მარკოზა ვორთხონჯია, მართა ვორთხონჯია, № 1-დან № 13-დის საკუთარი ხელი მოაწერეს № 13-დან კი ხელის მომწერთ წერა არ იციან, რომელთა თხოვნით და მონდობილობით ხელს ვაწერ ქანდარია.

სინამდვილესა ხელის მოწერასა № 1-დან № 13-დი და № 13 ბოლომდის წერის უცოდინარობის გამო ხელ მოწერილი არის კიმოთე ქანდარიას მიერ. ამას ვამოწმებ მამასახლისის უმყოფილობის გამო კეთილ-სინდისიანი თამაკონის საზოგადოებისა ისიდორე ხურცილავა.

## საბიბლიოგრაფიო შენიშვნები*).

თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი. 1911—1914 წ.
„ნარგიზის“ გამოცემა. ფასი 60 კ.

ქუთაისში ახლათ შემდგარმა წიგნის გამომცემმა ამხანაგობამ „ნარგიზმა“ ერთი მეტაც მშვენიერი და მოხდენილი საჩუქარი შესთავაზა ქართველს საზოგადოებას. ეს არის ჩვენი ახალგაზდა ბელეტრისტის ჯ. ჯორჯიკიას ნაწერები.

დიდი ხანი არ არის, რაც ჯ. ჯორჯიკია გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე: მისი გარეგნულათ მშვენიერი და კეკლუცი, შინაარსით მდიდარი და ხშირათ ღრმა აზროვანი მინიატურები სულ ოთხი წელიწადია, რაც ქართველ ხალხში ვრცელდებოდა.

უტყუარ ნიჭით დაჯილდოვებულ ამ მწერლის ნაწერებს ქართულმა კრიტიკამ უკვე მიაქცია ყურადღება და აღნიშნა მისი შემოქმედებითი ნიჭის სიძლიერე და „ვარდის ფერ სიტყვებით“ მოქარგულ-შემოქმედების ძირითადი ხასიათი. (იხ. ჯორჯიკიას ნაწერებში ჩართული ბ. ბ. კიტა აბაშიძისა და მ. წულუკიძის წერილები)...

ჯ. ჯორჯიკია ნამდვილი მშვენიერების მწერალია... ჩვენ ფართოდ ჩავსწვდებით მისი ნაწერების სიღრმეში, ნათლათ დავინახავთ, რომ ჩვენი ავტორი ნამდვილ „მშვენიერ ცხოვრების“ მოტრფიალე მწერალია... ადამიანი თავის მოქმედებით უნდა ჰქმნიდეს „მშვენიერ ცხოვრებას“, აი რას გვეუბნება ჯ. ჯორჯიკია; ეს არის მისი უდიდესი საბრძოლველი საგანი... როდესაც ჯ. ჯორჯიკიას სიცოცხლით სავსე მინიატურებს კითხულობთ, ნათლათ ამჩნევთ, რომ ავტორი ცდილობს გამონახოს ცხოვრებაში ისეთი მოვლენები, რომელნიც მიმზიდველნი და მომხიბლავნი არიან; ამით მას უნდა თვით ცხოვრება მიმზიდველი გახადოს, თვით ცხოვრება შეაყვაროს მის უარმყოფელებს. . ამისათვის მან „ყოფნის“ ახალი ფორმა, ახალი გამოსახულება გამოსძებნა. ჩვენი ავტორი არ ზოგავს ძალ-ღონეს, რათა ყოველ მხრივ აღწეროს და გააბრწყინოს „მშვენიერი ცხოვრება“...

ჩვენმა ავტორმა უკვე ჰპოვა ის მოვლენები, რომელნიც ამშვენიერებენ „ცხოვრებას:“ უკვდავი სიყვარული, საღმერთებელი სილამაზე (ხელოვნება), ძლევამოსილი ლტოლვა რაიმე განსაზღვრულ მიზნისადმი, შეუწყვეტელი აქტიური შემოქმედება-მოძრაობა, დიადი თავისუფლება, აიჯის მოვლენები, რომელნიც თავიანთი ცხოველ-მყოფელი სხივებით აცხოველებენ, აცისკროვნებენ და სიხალით და ნეტარებით ქარგავენ „ცხოვრებას“... რომლის სურათებსაც ის ნათლათ არკვევს ნაზ სიმღერის ტკბილ ჰანგებში (იხ. „მიყვარს“. გვ. 146).

რამდენათაც შესაძლებელი იყო ბიბლიოგრაფიის ფარგლებში,—ჩვენ აღვნიშნეთ მოკლეთ ჯ. ჯორჯიკიას ნაწერების მთავარი ძარღვი, მისი შემოქმედებითი ნიჭის მთავარი მომამრავებელი იმპულსი: ჩვენი ავტორის მიდრეკილება, მისწრაფება, ლტოლვა „მშვენიერ ცხოვრებისადმი“...

ჯ. ჯორჯიკიას აქვს ერთი ნაკლი, ნაკლი, რომლის დაძლევა აუცილებლათ მწერლის ხელშია.. ჯ. ჯორჯიკია არა ცდილობს ადამიანის სულიერ ცხოვრების სავსებით გაშუქებას. ეს გახლავთ ჩვენი მწერლის ერთგვარი „ფსიხოლოგიური სისუსტე“... ჩვენი მწერალი ხშირათ იქ სვამს წერტილს, სადაც მძიმე უნდა იყოს დასმული (მაგალითისათვის აიღეთ „მაჩვენება“ გვ. 104). ეს შეიძლება საჭირო იყოს მოთხრობის სიპატარავისათვის, მაგრამ მკითხველზე კი ვერ ახდენს საკმაო შთაბეჭდილებას... უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს სისუსტე სავსებით არის ძლეული „მერცხალაში“ (იხ. გვ. 147). ამ მშვენიერ მოთხრობაში სრულ ფსიხოლოგიურ სისრულემდი მიაღწია ჩვენმა ავტორმა და იმედი გვაქვს მომავალშიც ამ გზით ივლის..

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჯორჯიკიას ნაწერებში უხვათ არის გაბნეული თანამედროვე საზოგადოების დახავსებულ სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების სალი და მეტის-მეტათ საგრძნობელი კრიტიკა...

ასეთია ჯ. ჯორჯიკიას ნაწერები:

შეიძლება ქართველმა საზოგადოებამ, რომელიც ჯერჯერობით საკაცობრიო ცეცხლის ალშია გახვეული ღირსეულათ ვერ დააფასოს ჯ. ჯორჯიკიას მშვენიერი შემოქმედება; მაგრამ ნუ გაიტეხს გულს ნიჭიერი მწერალი: „სალი ხელოვნება“ მომავალში ჰპოვებს თავის ღირსეულათ დამფასებელს საზოგადოებას.

ს. ნ.—დიონა.

P. S. ეს ბიბლიოგრაფია უკვე დიდი ხნის დაწერილი მქონდა, როცა „თანამედროვე აზრის“ ფურცლებზე წავიკითხე ბ. ვლ. ბ ძის „კრიტიკული შენიშვნები“ ჯორჯიკიას შემოქმედებისა და მის თხზულების წინ ჩართულ ბ. კიტა აბაშიძის წერილის შესახებ. ბ. ვლ. ბ-ძეს სრულიათ ვერ გაუგია ჯორჯიკიას შემოქმედების ძირითადი ხასიათი. მისი კრიტიკა, ასე ვსთქვათ, ძლიერ მჩატეთ ეხება საკითხს; ამიტომ იგი ღრმათ ვერ ჩასწვდა ახალგაზდა მწერლის შემოქმედების სიღრმეში, საფუძვლიანი ანალიზით ვერ გამოარკვია მთავარი აკორდი, მომხიბლავ ფერადების შუა გულში ჩამარხული შემოქმედებითი მიდრეკილება ნიჭიერ მწერლისა.. ბ. ვლ. ბ-ძემ დაასამარა, უარყოფის ცივი ლოდი გადააფარა ჯ. ჯორჯიკიას, როგორც მწერალს, ვერავითარი საგულისხმიერო ღირსებულება ვერ ჰპოვა მის შემოქმედებაში; ეს, ჩემი აზრით, მეტათ დიდი უსაფუძვლო და შემცდარი დასკვნაა...

ბ. ვლ. ბ-ძეს წერილებს აკლია შორს მხედველობასთან ერთად „ლიტერატურული სიდინჯე“, ის უფრო პარტიულ ყაიდაზეა აშენებული და დაწერილია ბ. კიტა აბაშიძის დასამცირებლათ...

ხელოვნება—მშვენიერების ტაძარია; ის ყოველგვარ ლანძღვა-გინებისა და ბაქიაობის გარეშე სდგას; ის ადამიანის სულიერ ცხოვრების გამშვენიერებას, გასპეტაკებას და დატკბობას ემსახურება, და ამიტომ ვინც აპირებს ამ მშვენიერების ტაძარში სალოცავათ შესვლას, ან მის მოგვათ ყოფნას, ის წრფელი გულით და წმინდა გრძნობებით უნდა შედიოდეს შიგ... აი ეს წრფელი გული და წმინდა გრძნობები აკლია ბ. ვლ. ბ-ძეს; მისი გრძნობა-გონება პარტიულ ცხოვრების ვიწრო ფარგლებში არის გამომწყვდეული: ეს რომ ასე არ ყოფილიყო ბ. ბ-ძის გრძნობებს ძლიერ დაატკბობდა ჯორჯიკიას შემოქმედების ერთგვარი მუსიკალური აკორდი; მის გონებას არ გამოეპარებოდა მხატვრულ ფერადების შუაგულში ჩამარხული სალი და დინჯი აზრები ნიჭიერ შემოქმედებისა...

ს. ნ. დ—ონა.

*) ამ წერილის დაბეჭდვა დაგვიგვიანდა.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ათ მაისს, სულის წმინდის მოფენის დღეს ხელმეორეთ განუმა[illegible] რელი მაჰმადიანი ძმების უნუგეშო მდგომარეობა. ბევრმა მათგანმა, განსაკუთრებით ქალებმა და მოზარდმა ბავშვებმა, ცრემლებიც კი დაღვარეს ბედისაგან დაჩაგრული აჭარლების მდგომარეობის გაგონებაზე და თვითონ, ორი წლის ზედიზე მოუსავლობისაგან დიდათ შეწუხებულებმა, გულითა და სულით მიძღვნილი თავისი წვლილი მაინც გამოიღეს მათ სასარგებლოთ. აი სია შემომწირველთა:

ვასასი (იგივე ალვასი) უზნაძემ 1 მ., ელენტია მაჭავარიანისამ 10 შაური, ფედოსია გიორგამისამ 10 შაური, ერმონია ჭანკვატაძისამ 1 აბაზი, ვასასი ზვიადაძისამ 1 აბაზი, მარიამ ავალიშვილისამ 1 აბ., ოლღა ბუაჩიძემ 3 შაური, ეკატერინე ჩხიკვაძემ 2 შ., თამარ გიორგაძემ 1 შ., ივანე ოქრომჭედლიძემ 1 აბაზი., მალხაზ გიორგაძემ 3 შ., მიხეილ გიორგის ძე მაჭავარიანმა 6 შაური, კოსტანტინე მდინარაძემ 10 შაური, ვარდენ ყიფიანმა 3 შ., დავით ავალიშვილმა 3 შ., ყარამან გიორგაძემ 6 შ., იასონ ჯიმშიაშვილმა 6 შ., ვარლამ ზვიადაძემ 5 შ., აბათ ზვიადაძემ 2 შ., სანდრო ზვიადაძემ 3 შ., დავით ბერაძემ 2 შ., ნიკოლოზ ბარამის ძე ბარათაშვილმა 10 შაური, ვარდენ ჩხიკვაძემ 3 შ., ლუკა ჩხიკვაძემ 2 შ., ვასილ გიორგის ძე ჩხიკვაძემ 3 შ., მინა აბულაძემ 1 აბაზი, ნიკო გამრეკელაშვილმა 2 შ., ეფრემ გამრეკელაშვილმა 1 აბაზი, პლატონ გამრეკელაშვილმა 3 შ., ნიკოლოზ აბულაძემ 2 შ., ზურაბა ცერცვაძემ 2 შ., იპოლიტე გამრეკელაშვილმა 3 შ. ნიკოლოზ მალხაძის ძე გიორგაძემ 2 შ., ივანე გამრეკელაშვილმა 2 შ. დავით კვაშილავამ 1 აბ. გლახუა კურტანიძემ 2 შ., ალექსი კურტანიძემ 3 შ., ნესტორ გეორგაძემ 2 შ. სულ შესდგა რვა მანეთი და ერთი აბაზი, რომელსაც, ფოსტის ხარჯს გარდა, (დაბეჭდილი კონვერტით იგზავნება) ე. ი. 8 მანეთს ამასთანავე გიახლებთ და გთხოვთ ფულები დანიშნულებისამებრ გადასცეთ და სია შემომწირველთა თქვენ გაზეთში გამოაცხადოთ.

კიცხის წმიდა გიორგის ეკ. მღვდელი
მიხეილ ბუაჩიძე.

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე.

თ. მთავრიშვილის და ამხ.
წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ
გამოვიდა
„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“ ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.
იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო „ეგზემპლ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

24 მაისიდან თფილისში გამოვა ნაცვლად ჟურნალ „კლდისა“ ყოველ-დღიური გაზეთი
„საქართველო“
ფასი წლის დამლევამდე 5 მან. პირველ ოქტომბრამდე 3 მან. „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც მთელი წლის ფული აქვთ გადახდილი, გაზეთი გაეგზავნებათ 1 მკათათვემდე.
ადრესი: Тифлисъ, Московская ул. № 4.
რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში
ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.
კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.
— კატალოგები უფასოთ — თ.

ნუნისის სამკურნალო ბუნებით თბილი
აბანო.
აბანო ნუნისი, ანუ მუნისი, რომელიც შეუმჩნევია ხალხს, უხსოვარი დროიდან, როგორც მუნისაგან განმკურნავი უებრაი საშუალება, ჰკურნავს გასაკვირველად ყოველნაირ კანის ავადმყოფობას და მასთან დიდ საშუალებას აძლევს ავადმყოფს სხვადასხვა სენის წინააღმდეგ. მდებარეობს შორაპნის მაზრაში, მოლითის სადგურიდან 6 ვერსის მანძილზე, მაღლობზე ნაძვნარში. სეზონი იწყება 15 მაისიდან და გრძელდება 1-ს ოქტომბრამდე.
თ. 215